ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 264 (18806) ოთხშაბათი, 16 ნოემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ძალები — მიმდინარე სამეურნეო წლის დავალებათა შესასრულებლად!

სოფლად ნარმაგებისათვის

ბოუინ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილი „მთელი ძალები — მიმდინარე სამეურნეო წლის დავალებათა შესასრულებლად". წერილში ნათქვამია: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის მშრომელებს, საზოგადოებრიობას მოუწოდებენ რაც შეიძლება აქტიური მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე სამეურნეო წლის დავალებათა რეალიზაციაში, რათა მინიმუმამდე შემაცირონ სტიქიური უბედურებით გამოწვეული დანაკარგები.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანები ეკისრება საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, რომელმაც მთლიანად უნდა გამოავლინოს წარმოების უმეტესი ეფექტიანობის მისაღწევად მთელი რესურსების მანევრირების ის შესაძლებლობანი, რომლებსაც შეიცავს მართვის ახალი სისტემა. სტიქიით დაზარალებული ყოველი ცალკე რაიონისათვის უნდა შეშუშავდეს უამინდობის შედეგების ლიკვიდაციის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა გეგმა, მკაცრი კონტროლი დაუწესდეს მის განხორციელებას".

ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას და მათ პირველმა უსაბაკეს სამშობლოს მეთერთმეტე შუაგული წლის ვალდებულების გადამეტებით შესრულება — სახელმწიფოს მიყიდეს 553 ათას ტონაზე მეტი ნარისხოვანი ჩაის ფოთოლი. საგულისხმოა ისიც, რომ რეკორდული მოსავალი მეჩაიეებმა უამინდობაში მოიწიეს. მთელი წლის განმავლობაში ისინი არ ეპუებოდნენ არც ყინვას, არც წყალდიდობას და არც ხშირწვიმიანობას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეჩაიეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა დიდი მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობა გასწიეს, დავალებათა შესასრულებლად დარაზმეს სოფლის ყველა მშრომელი. შეჯიბრების ავანგარდში კი, როგორც ყოველთვის, კომუნისტები და კომკავშირელები იყვნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, გალის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონების მეჩაიეთა მართლაც გმირული შემართება. მეჩაიეებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა ქვეყანას აღუთქვეს, რომ ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა კვლავ გრძელდება. აქვე უნდა დავძინოთ, რომ მეჩაიეები ხელიდან უშვებენ ლაო ჩაის დამზადების ხელსაყრელ პირობებს. ნელი ტემპით მზადდება ლაო ჩაი თითქმის ყველა რაიონში, რითაც საფრთხე ექმნება 20.000 ტონა ლაო ჩაის დამზადების გეგმის შესრულების საქმეს. თუ არ იქნა ლაო ჩაის ნედლეული, შეფერხდება აგრეთვე ჩაის წარმოება, რომელზეც დიდი მოთხოვნაა მთელ ქვეყანაში და საზღვარგარეთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წლის დამლევამდე დარჩენილ დროში მეჩაიეობის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები, აგრარსაბრეწველო გაერთიანებანი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ნაკლი გამოსწორდეს. ამასთან მთავარია აქედანვე მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მომავალი წლის უხვ მოსავალს. ამისათვის საჭიროა პლანტაციებში შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები აგროვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარდეს.

მოხდა ისე, რომ მოლო ორ წელიწადში ყურძნის წარმოების დავალებებს მევენახეობის წამყვანი რაიონები ვერ ასრულებენ. რა თქმა უნდა, მათ აქვთ ობიექტური მიზეზები — სტიქია და წვალდიდობა, მაგრამ ყველაფერს სტიქიას ვერ გადავაბრალებთ. იქ, სადაც მევენახეებმა, მათმა პარტიულმა და სამეურნეო ხელმძღვანელებმა დიდი გამჭრიახობა გამოიჩინეს, სადაც თავის დროზე გამოიყენეს მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება, გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს — ბუნების ჭირვეულობას წინააღუდგნენ და საკმაო რაოდენობის მოსავალი შეინარჩუნეს. რთველი ჩათავდა. მეღვინეობის რაიონებს და საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელთა გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ საქმით და მხოლოდ საქმით გამოეხმაურონ წერილს, აგრეთვე, რესპუბლიკის-სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოცხადებულ ვენახების მოვლის ორთვიურს, აგროწესების დაცვით შეასრულონ ვენახებში შემოდგომა-ზამთრის სამუშაოები.

სამეურნეო წლის ბოლო დღეები სოფლად მეტად საშური რომ არის, არც ეს გახლავთ ახალი სოფლის ხელმძღვანელებისათვის. მათ კარგად იციან, რომ მოწეულ ჭირნახულს თავის დროზე და უნაკლოდ უნდა დაბინავება. ახლა სოფლად ბევრი საქმეა. აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში მთავრდება საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვა და ანეულის ხვნა, ბოსტნეულის აღება, ხილის კრეფა, ჭარხლის ამოღება, პირუტყვის საკვების დაგროვება. დასავლეთ საქართველოს რაიონებში გაჩაღებულია ციტრუსების კრეფა, სიმინდის აღება, ჩაის პლანტაციების დამუშავება, პირუტყვის მაძღრისად გამოზამთრებისათვის მზადება და სხვა სამუშაოები. მათი რეალიზაცია ის რეზერვები, რომლებზეც ლაპარაკია წერილში.

საზოგადოებრივ მეურნეობებში სულ ახლახან დამთავრდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები, დაიწყო სასოფლო რაიონების პარტიული კონფერენციები. პარტიულ კრებებზე გამოვლინდნი სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებანი კონფერენციაზე სპეციალური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. კომუნისტთა აქტიური მონაწილეობით საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ წლევანდელი შეცდომები აღმოვფხვრათ, შემდგომ არ გავიმეოროთ, მომავალი წლის უხვ მოსავალს მტკიცე, გარანტირებული საფუძველი ჩავუყაროთ!

დღესდღეობით, სამწუხაროდ, მთელ რიგ რაიონებში თავის დროზე არ შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქები. ეს დავალება საჩხერის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს 18 პროცენტით აქვთ შესრულებული, ჭიათურის ზონის მეურნეობებს — 22 პროცენტით, ბოლნისის რაიონს — 23 პროცენტით, მარნეულისას — 35 პროცენტით და ა. შ. საჩხერელებს 20.000 ტონის ნაცვლად შეტანილი აქვთ 3.693 ტონა ორგანული სასუქი, ბოლნისელებს 85.000 ტონის ნაცვლად — 19.333 ტონა და ა. შ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რაიონებში წინა წელთან შედარებით მინერალური სასუქების შეტანაც საგრძნობლად შეამცირეს. ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ მათ ყურძნის წარმოებისა და დამზადების გეგმები სანანებლოდაც ვერ შეასრულეს? აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ რაიონების მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობები სხვადასხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოების გეგმებსაც ვერ ასრულებენ. ეს იმიტომაც ხდება, რომ ზოგან დაივიწყეს აგროქიმიური კარტოგრამები და მას საქმიანად არ იყენებენ. მეტი გულისყური და პასუხისმგებლობა გვმართებს. როგორც წერილშია ნათქვამი — ყველა რესურსი უნდა ავამოქმედოთ!

ზამთარი, რომ იტყვიან, მართლაც კარზეა. რესპუბლიკის მეცხოველეობის რაიონების ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობას უხეში საკვები აკლია, ზოგს — წვნიანი, ზოგან კი ფერმები ზამთრისათვის მზად არა აქვთ. ზამთრამდე დარჩენილ დროში კოლეფერნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, რაიონების აგროსაბრეწველო გაერთიანებათა საბჭოების თავმჯდომარეებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რომ პირუტყვს არ მოაკლდეს საკვები, კარგად მოუარონ და ამით ზამთარშიც არ შეანელონ პროდუქტების წარმოება და დამზადება.

სამეურნეო წელი კარგი მაჩვენებლებით რომ დავამთავროთ, საჭიროა სოფლად ყველა სამუშაო თავის დროზე და მაღალხარისხოვნად შეავასრულოთ. ამას კი მტკიცე დისციპლინა და ორგანიზებული შრომა ჭირდება ყველა უბანზე — მინდვრად, ბაღ-ვენახებში, პლანტაციებსა და მეცხოველეობის ფერმებში. მაშინ ყველგან იმატებს შრომის ნაყოფიერება. „კარგ შედეგებს აღწევენ იქ, სადაც ეს მუშაობა წარმოებს მიზანმიმართულად და ყოველდღიურად, სადაც მასში ყველა შრომელი ებმება," — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებაში „სოციალისტური შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ."

ყველა შრომელის შეგნებული, ენერგიული, მიზანმიმართული შრომის შედეგად წარმატებით დავამთავროთ სოფლად სამეურნეო წელი, საქმით ვუპასუხოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს წერილს!

საქართველოს მშრომელები ეხმაურებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წერილს

მხარი — მხარს, როცა გასაჭირია!

აბაშის რაიონის მშრომელები ფართოდ ეხმაურებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წერილს რესპუბლიკის ყველა საწარმოს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაციისა და მშრომელებისადმი.

ერთობ ცოდმა ამინდებმა ჩვენი რაიონის სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი. მათ შორის სოფლის მეურნეობაც მნიშვნელოვნად დააზიანა. ახლა გვმართებს მოუღელი, ბეჯითი შრომა!

მთავარი ყურადღება ეჭქცევა მოსავლის ოდანაკარგად აღება-დაბინავებას. სიმინდის, ჩალისა და სოიის აღება-დაბინავება გადამწყვეტ ფაზაშია შესული. მაგრამ კვლავ ხშირია წვიმები, სიცივეები, ფართობებზე მისასვლელი გზები ნორმალური მუშაობის საშუალებას როდი იძლევა. მიუხედავად შექმნილი ცუდი პირობებისა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაებმა, მექანიზატორებმა გვირდით დარაზმულია რაიონის ინტელიგენცია, მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლე ახალგაზრდობა, რათა შემეჩქეროებულ ვადებში ავიღოთ და დავაბინაოთ მიმდინარე წლის ჭირნახული.

განსაკუთრებული ყურადღება ეჭქცევა პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებას და ზამთარში დიდი წვალდობის შენარჩუნებას. მთავარი საზრუნავია საკვები ბაზის განმტკიცება. წლიურს მეცხოველეობის დარგში სერიოზული მიღწევები გვაქვს მოპოვებული, მაგრამ ყოველივე ეს დამშვიდების უფლებას როდი გვაძლევს წერილი გვაქვალებს ვიყოთ მოწოდების სიმაღლეზე.

ო. ცომაია,
აბაშის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე.

მხოლოდ საქმით

გუშინ გაზეთ „კომუნისტში" წავიკითხეთ საპროგრამო წერილი საქართველოს ყველა მშრომელისადმი იმ მძიმე ზარალის შესახებ, რაც ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას მიაყენა სტიქიამ. გორის რაიონი და მათ შორის ჩემი სოფელი ბერბუჟიც სერიოზულად დაზარალა სეტყვამ, გრიგალმა, კოკისპირულმა წვიმებმა, წყალდიდობამ და ტემპერატურის მკვეთრმა ცვალებადობამ.

წერილის პასუხად რაიონის მშრომელებმა, ინტელიგენციამ, მოსწავლეებმა გადაწყვიტეს მთელი ენერგიით, მოუღელი შრომით უდანაკარგოდ დაბინაონ საიუბილეო წლის ჭირნახული, რაც წლევანდელ სტიქიურ მოვლენებს გადაურჩა. ამასთან ისიც არ უნდა დავგვიწყდეს, რომ ახლა მთავარია მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის ზრუნვა. ამთავითვე ყველაფერი უნდა ვიღონოთ აგრეთვე პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის, ზამთარში დიდი წვალდობის შენარჩუნებისათვის.

ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები ყველაფერს იღონებენ წერილში დასახული და მითითებული დავალებების შესასრულებლად.

ა. ღოლიჯავილი,
გორის რაიონის ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის მეორე ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საქმეთა გამოაჩინა

საუკეთესო სპეციალისტის სახელით

თბილისის კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" მეცხრე საამქროში საუკეთესო ხარატად ითვლება თეიმურაზ გამხიტაშვილი. ოთხი წელია, რაც იგი მექანიკურ საამქროში მუშაობს და უკვე საუკეთესო სპეციალისტის სახელი მოიპოვა. იგი საამქროს კომკავშირის ბიუროს წევრია.

ა. სააკოვის ფოტო.

კომისიის სხდომა

14 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს თავმჯდომარეობით გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის სხდომა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების სისტემის რეფორმის საკითხზე.

სხდომაზე განიხილეს წინადადებანი ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესახებ. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ვ. ზიმიანინმა.

განხილვაში მონაწილეობდნენ რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი გ. პ. ვესელოვი, სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ს. მურახოვსკი, უკრაინის სსრ განათლების მინისტრი მ. ვ. ფომენკო, ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის პროფტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი ლ. ა. გორჩაკოვი, ბელორუსიის სსრ განათლების მინისტრი მ. გ. მინკევიჩი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი შ. ა. ამონაშვილი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, ქალაქ მოსკოვის №199 საშუალო სკოლის დირექტორი მ. ა. კომლევა, სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელი პ. გ. ლოზინა (ფსკოვის ოლქი), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. ა. პ. ალექსანდროვი, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტის დეკანი, აკადემიკოსი ა. ნ. ტიხონოვი.

დასასრულ გამოვიდა კ. უ. ჩერნენკო.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ა. ალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრინინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ვ. კაბიტონოვი და ნ. ი. რიჟკოვი.

საუბარი კრემლში

15 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა კრემლში მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის ფედერალური მინისტრი ო. ლამბსდორფი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის XII სესიასთან დაკავშირებით.

საუბარში შეეხნენ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე ზოგიერთ საერთაშორისო აქტუალურ პრობლემას.

ნ. ა. ტიხონოვმა ხაზი გაუსვა, რომ, როგორც ოვლისში გამართული ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა მოსკოვის უმაღლესი დონის მოლაპარაკების დროს აღინიშნა, არის ობიექტური წანამძღვრები, რათა შეუფერებლად ვითარდებოდეს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა მოსკოვის ხელმეკრულების საფუძველზე, მათ შორის ეკონომიკური კავშირურთიერთობის გფფართოების დარგშიც. ეს კვლავ დაადასტურა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის მორიგმა სესიამაც.

ერთობლივი მუშაობის აქტუალურ მიმართულებებად დასახა ტრადიციულად ქცეული თანამშრომლობა ისეთ დარგებში, როგორიც არის ქიმია და მანქანათმშენებლობა, განსაკუთრებით რესურსდამზოგველი მოწყობილობის შექმნაში, აგრეთვე ფართო მოხმარების საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული მსუბუქი, კვების და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოთა რეკონსტრუქცია და მშენებლობა, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საშუალო და პატარა ფირმებსაც.

ო. ლამბსდორფმა გამოთქვა კმაყოფილება კომისიის მუშაობის გამო და განაცხადა, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვითარდეს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრავალმხრივი ურთიერთობა.

ნ. ა. ტიხონოვმა ფედერალური მინისტრის ყურადღება მიაპყრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებულ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს, რომელთა მიზანია მშვიდობის შენარჩუნება ევროპაში, ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება, ნორმალურ კალაპოტში საერთაშორისო ურთიერთობის დაბრუნება. ეს შორსგამიზნული წინადადებები, თუ მეორე მხარე გონივრულ მიდგომას გამოიჩენს, სახავენ ევნევის მოლაპარაკებაზე სამართლიანი შეთანხმების მიღწევის რეალურ გზას. საბჭოთა კავშირი მომხრეა იმისა, რომ მოლაპარაკება და ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებათა ძიება განაგრძონ იმ პირობით, რომ ამერიკა არ განალაგებს რაკეტებს ევროპაში.

საუბარმა საქმიან ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

„შუშანიკის წამება" საოპერო სცენაზე

თბილისელები საუკუნის წინანდელი მოვლენები, რომელიც იაკობ ცურტაველმა აღწერა ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეულ პირველ ლიტერატურულ ძეგლში „შუშანიკის წამებაში", თბილისის მუსიკალური ცხოვრების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. კომპოზიტორმა ბიძინა კვერნაძემ დაწერა ოპერა ამ ნაწარმოების მოტივებზე „იყო მეოცესა წელსა", ხოლო რეჟისორმა რობერტ სტურუამ განახორციელა მისი დადგმა. 15 ნოემბერს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურმა თეატრმა უჩვენა სპექტაკლის პრემიერა, რომელსაც დასწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია.

(დასასრული მე-4 გვ.)

მაგისტრალი ღრუბლებისკენ მიიწევს

გაიხსნა მატარებლების სამუშაო მოძრაობა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მშენებარე ხაზის მარაბდა-ნადარბაზევის უბანზე. ამით დამთავრდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი ფოლადის ტრასის აგებისა, რომელიც გაიელის სამხრეთ საქართველოს მთის რაიონებს და რომლის შექმნა გათვალისწინებულია სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით.

დმანისი, თეთრი წყაროო, ბოგდანოვკა, წალკა, ახალქალაქი... ეს რაიონული ცენტრები ჯერჯერობით რკინიგზიდან დაშორებულია. მაგრამ ახლოა ის დღე, როცა აქაც გაჩნდება სადგურები და ფოლადის მაგისტრალი მათ რესპუბლიკის დედაქალაქს დაუკავშირებს.

ჯერ კიდევ სულ ახლახან, იმისათვის, რომ ამ რეგიონიდან გაეტანათ სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, საკმაო იყო საავტომობილო ტრანსპორტი, მით უმეტეს, რომ ამ მხარეში კარგად არის განვითარებული საავტომობილო გზების ქსელი. მაგრამ უკანასკნელ ხანს მდგომარეობა შეიცვალა. გეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს ვულკანური წიდის მდიდარი მარაგი, რომელიც გამოდგება შემვსებად რკინაბეტონის კონსტრუქციების დამზადებისას, აგრეთვე ტუფი, რომლის რესურსები არაერთი ქალაქის ასაგებად გვეყოფა. მნიშვნელოვნად გაიზარდა რაიონის სახალხო-სამეურნეო პოტენციალი. რკინიგზა აუცილებელი გახდა. ამას გარდა, იგი საჭიროა როგორც რეგიონის შემდგომი სოციალურ-კულტურული განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

უკვე დღეისათვის მშენებარე მაგისტრალმა ამ მხარეში მტკიცედ დამკვიდრა მემანქანის, სატრანსპორტო მშენებლის, მეჩარხის ახალი პროფესიები.

დიახ, დიახ, მეჩარხეების, მათ შორის რიცხვითი პროგრამული მართვის ჩარხების ოპერატორებისაც, — თქვა პარტიის წალკის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ქრისტიანოვმა. — ახალი გზა ხომ ეკონომიკურის გარდა მნიშვნელოვან სოციალურ ეფექტსაც იძლევა. ამაში ხელს შეუწყობს ტრასის გასწვრივ ახალი კარიერების, სამრეწველო საწარმოების მშენებლობა. მათ შორის ჩვენს რაიონში გაიხსნება თბილისის ჩარხმშენებლის საწარმოო გაერთიანების დიდი ფილიალი.

ამერკაკავკასიის ტრანსმშენის ტრესტის კოლექტივი გრაფიკის გასწრებით შრომობს, რის მეხუთეთაც მნიშვნელოვნად გაიაფდა სამუშაოები.

— ჩვენი ტრასის ერთი გრძივი კილომეტრი, — თქვა პროექტის მთავარმა ინჟინერმა, კავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა გ. ჯაშმა, — დაახლოებით სამ-ოთხჯერ იაფი გვიჯდება, ვიდრე მთის სხვა ადგილებში, და მხოლოდ ოდნავ ძვირი დაბლობთან შედარებით.

ამავე დროს უნდა აღვნიშნოო, რომ ტრასის რელიეფი ოღი არ არის. აქ გვხვდება თოთხმეტი დიდი და მცირე მდინარე. ტრასის მშენებლობისათვის საჭიროა გადავაადგილოთ დაახლოებით 125 მილიონი კუბური მეტრი გრუნტი, რომლის დაახლოებით 70 პროცენტი კლდოვანი ქანებია.

— სიძნელეების მიუხედავად, — თქვა ამერკავკასიის ტრანსმშენის ტრესტის მთავარმა ინჟინერმა დ. გოცირიძემ, — ჩვენს კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გზის აგება დასახულ ვადებში დაამთავროს. უნარიანად ვიყენებთ მძლავრ ტექნიკას, ფართოდ ვნერგავთ ბრიგადულ ჯარას, რის მეოხებითაც სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლების მშრომელები წარმატებით ართმევენ თავს დაძაბული გრაფიკის შესრულებას.

ახალი მგზისტრალი, რომელსაც საქართველოს ბამს უწოდებენ, მწყობრში ჩადგება მეთორმეტე ხუთწლედის დამდეგს.

(საქინფორმი).

მეთამგაძეთა წარმატება

გათუმი. (საკ. კორ.). აჭარის მთის რაიონების სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში თამბაქოს წამყვანი ადგილი უკავია. ამიტომაც არის, რომ მის მოყვანას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

როგორც აჭარის ასსრ სტატისტიკურმა სამმართველომ გვაცნობა, წელს ავტონომიური ოლქის ყველა რაიონში გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო საგეგმო დავალებები. უკვე შეტეხილი და ანემსილია 35.910 ათას ზონარმეტრზე მეტი თამბაქო, რაც წლიური გეგმის 107,2 პროცენტია. აქედან ქედის რაიონმა შეტეხვა-ანემსვის გეგმა შეასრულა 114, შუახევმა — 105,8, ხულომ — 103,6, ხელვაჩაურმა — 103,4 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ანემსილია 2.200 ათას ზონარმეტრზე მეტი თამბაქო. თამბაქოს შეტეხვა და ანემსვა გრძელდება.

საკარმიდამოდან — სახელმწიფოს

ჩოხატაური. (საკ. კორ.). სოფელ ხიდიისთვის სასოფლო საბჭოში მძლავრად მოიკიდა ფეხი საკარმიდამო მეურნეობის მეცხოველეობამ. თითზე ჩამოსათვალელი როდია ისეთი ოჯახები, რომლებიც დიდი რაოდენობით აბარებენ ხორცს სახელმწიფოს. მაგალითად, ციალა სიხარულიძემ ამ დღეებში სახელმწიფოს მიჰყიდა 197 კილოგრამი ხორცი, სანდრო ცინცარაძემ — 130 კილოგრამი, ილია კუკულავამ — 116 კილოგრამი, ლეილა მახარაძემ 113 კილოგრამი.

არანაკლებ იღვწის სოფელ დაბლაციხის საბჭოში მცხოვრები კოოპერირებაში ჩაბმული მოსახლეობაც. დაბლაციხელმა ირმა ჯიქიამ სახელმწიფოს მიჰყიდა 368 კილოგრამი ხორცი, ალი პაიჭაძემ კი 230 კილოგრამი.

მოსახლეობის მიერ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა წარმატებით მიმდინარეობს რაიონის სხვა სასოფლო საბჭოებშიც.

რესურსები უნდა ამოქმედდეს

თვენახევარილა დარჩა ხუთწლედის დამთავრებამდე. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც სტიქიური უბედურებით შექმნილ უაღრესად დაძაბულ მდგომარეობაშიც კი შეასრულეს ხორცის, რძის, კვერცხის, ჩაის, საშემოდგომო მარცვლეულის დამზადების გეგმები, საბრძოლო მოწოდებად აღიქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს წერილი. მათ კარგად ესმით შექმნილი ვითარებაში თავიანთი პასუხისმგებლობა, ის, რომ ახლა განსაკუთრებით საჭიროა გაორკეცდეს აქტიურობა სამეურნეო წლის დავალებათა რეალიზაციისათვის, გაჩაღდეს დაუნდობელი ბრძოლა უყაირათოობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ.

ამ ვითარებაში განსაკუთრებით დიდი საზრუნავი აქვთ იმ მეურნეობებსა და ბრიგადებს, რომლებმაც განვლილ 10 თვეში თავი ვერ გაართვეს დაკისრებულ საქმეს, გეგმა-ვალდებულებების შესრულებას.

10 თვეში შარშანდელთან შედარებით ნაკლები რძე მიიღეს ახალციხის, ადიგენის, გორის, სიღნაღის, ახმეტის, მარნეულის, წალკის, თეთრი წყაროს, თიანეთის და სხვა რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ფერმების მუშაკებმა. წვალდობა შემცირდა თერჯოლის, ამბროლაურის, მესტიის, გურჯაანთან და ქედის რაიონებში. კვერცხის წარმოების გეგმების შესრულებისათვის მეტი მიცდინრობა მართებთ საგარეჯოელ, ახმეტელ, სამტრედიელ, ამბროლაურელ და ლანჩხუთელ მეფრინველეებს, რომლებიც შარშანდელ დონეს ჩამორჩებიან.

100 ფურიდან საშუალოდ შარშანდელზე ნაკლები ნამატია მიღებული ახალქალაქის, ადიგენის, თეთრი წყაროს, საჩხერის, წალენჯიხის, მესტიისა და ჩხოროწყუს რაიონებში. იმის გამო, რომ პროტესტის ჯეროვნად ვერ ვალიან, წლიურს ბევრი საქონელი გაწყდა ხაშურის, სიღნაღის, გარდაბნის, ჯავის, ხობისა და შუახევის რაიონებში. ძროხის ნამატის მიღებისა და სულადობის შენარჩუნების საქმე, რაზეც, უმთავრესად, დამოკიდებულია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება, უკან-უკან მიდის ხაშურის, გორის, გურჯაანის, წითელწყაროს, თელავის, ბოლნისის და სხვა რაიონების ფერმებში.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში პირუტყვის ბაკური კვების სეზონი დაიწყო, გამოზამთრებისათვის საკმარისი უხეში საკვები არ მოუმარაგებიათ (შარშანდელზე ნაკლები აქვთ დამზადებული) ახალციხის, ასპის, გარდაბნის, მცხეთის, ბოლნისის, ვანის, გალის და გუდაუთის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებს. თვეის დამზადებაში ჩამორჩენენ თელავის სიღნაღის, ლენინგორის, ზნაურის, ცხაკაიას და მესტიის რაიონები. საერთოდ, საკვებ ერთეულზე გადაანგარიშებით შარშანდელზე ნაკლები ფურაჟია მომარაგებული 38 რაიონში, ამ მხრივ ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაა ახალციხის, ასპის, გარდაბნის, მცხეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, ზნაურის და გალის რაიონებში.

ზემოხსენებული რაიონების ფერმის მუშაკებმა, ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა მთლიანად უნდა გამოავლინონ რესურსები წარმოების უმეტესი ეფექტიანობის მისაღწევად, ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა განხორციელებისათვის.

ITALIAN DELEGATION — TO TBILISI!

ELECTROENERGY — FOR EXPORT

საქართველოს ენერგ

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული ორგანიზაციის XIII კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. ლილაძე. კამათში მონაწილეობდა 18 დელეგატი. საქმიანი მსჯელობის, პირუთვნელი კრიტიკის და თვითკრიტიკის ვითარებაში კომუნისტებმა გააანალიზეს, თუ როგორ ასრულებს საწარმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების გადაწყვეტილებებს, ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებას, რა მიღწევებით აღინიშნა განვლილი სამი საანგარიშო წელი, ვინ ჩამორჩა და რატომ ჩამორჩა, როგორია სამომავლო ამოცანები. ჩვენი დღევანდელი საუბარი უპირატესად ეძღვნება ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს, რომლებსაც კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.

ამ მიმდინარე სასიკეთო ძვრებზე სრული წარმოდგენის შექმნისთვის საჭიროა გავიხსენოთ, რომ ცენტრალური კომიტეტის ზამოალინენულ დადგენილებაში მკაცრადაა გაკრიტიკებული ფეროშენადნობთა ქარხნის ხელმძღვანელობა, ზესტაფონის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ამონაბოლქვი აკვამლისაგან გარემოს გაჯანსაღების აღკვეთის, მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, საწარმოს ხელახალი ტექნიკური შეიარაღების თაობაზე ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებულ დადგენილებათა ხორცშესხმა. კერძოდ, მითითებულია, რომ 1979 წლის 8 თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, კორეტირების მიუხედავად, მხოლოდ 92,1 პროცენტით შესრულდა. იკლო შრომის ნაყოფიერებისა და საშუალო ხელფასის დონემ, შესუსტდა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, ქარხანა მიატოვეს ძალზე საჭირო სპეციალისტებმა.

ასეთ ვითარებაში შეუდგა შემოქმედებითს მოღვაწეობას საწარმოსა და რაიონის განახლებული ხელმძღვანელობა, რომელმაც საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების სრული მხარდაჭერისა და თანადგომის პირობებში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია დადგენილებით დასახული ამოცანების გადასაჭრელად შრომითი კოლექტივის დარაზმისათვის.

საწარმოში თანდათან გამიზნული და საგნობრივი გახდა ორგანიზატორული მუშაობა. საანგარიშო პერიოდში საწარმოს პარტიული კომიტეტის სხდომაზე განხილული საკითხების 63 პროცენტი სწორედ ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების პრობლემებს მიეძღვნა. ძირეული რგოლების აქტიურობის ამაღლებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფამ. თუ 1980 წლის 1 იანვრისათვის ქარხანაში შექმნილი იყო 30 პარტიული ჯგუფი და 22 პირველადი უფლებების მქონე პარტორგანიზაცია, ამჟამად მოქმედებს 55 პარტჯგუფი და 26 პირველადი ორგანიზაცია. პარტიის ზესტაფონის რაიონული კომიტეტის ყოველდღიური დახმარების შედეგად წარმატებებია მოპოვებული ეკონომიკის მართვის სრულყოფაში, პარტიული და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში.

და აი შედეგებიც: საანგარიშო პერიოდში ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 101,4 პროცენტით შეასრულა, გადაჭარბებით გამოუშვა 4,9 მილიონი მანეთის პროდუქცია. ხარისხნიშნიანი ნაწარმის ხვედრითმა წილმა გეგმით გათვალისწინებული 47,3 პროცენტის ნაცვლად 54 პროცენტი შეადგინა, შრომის ნაყოფიერება 1980 წელთან შედარებით 9 პროცენტით გაიზარდა. თუ 1980 წელს მუშაკთა რეალური შემოსავალი იყო 199 მანეთი, 1983 წლის 9 თვის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 223 მანეთამდე გაიზარდა. ინერგება შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმები, მუშათა 77 პროცენტი ამჟამად ბრიგადული იჯარის მეთოდით საქმიანობს.

ხორციელდება ქარხნის ხელახალი ტექნიკური შეიარაღების უდიდესი საუშაოები, მთლიანად იცვლის სახეს ძირითადი და დამხმარე საამქროები, იხვეწება ტექნოლოგიური პროცესები და, რაც მთავარია, მწყობრში ჩადგა მეოთხე საამქროს აირგამწმენდი ნაგებობა, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა ღუმელებიდან ამონაბოლქვი კვამლისაგან ჰაერის გაჭუჭყიანების აღკვეთის მთელი რეგიონისათვის უაღრესად მტკივნეული პრობლემა.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო ზნეობრივი და ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების, ადამიანები მეტი რწმენითა და თავდადებით შეუდგნენ შრომას და ეს ნათლად აისახა მაჩვენებელთა ზრდის დინამიკაშიც.

თუ 1980 წელს მეოთხე კვარტალში ქარხანამ გეგმას დააკლო 14 ათასი ტონა შენადნობი, მომდევნო წელს წარმოების მოცულობა 18,2 პროცენტით გაიზარდა. თუმცა ისიც უნდა თქვას, რომ ცალკეულ სამსახურთა გაუმართავი მუშაობისა და მაღალი კონცენტრაციის მადნის უქონლობის გამო საგრძნობლად იმატა დანახარჯებმა ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე.

ფინანსების დინამიკის კვალდაკვალ

1982 წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 100,2 პროცენტით შესრულდა, ხოლო 1983 წლის 9 თვეში — 103,1 პროცენტით. ხარისხნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა გეგმით გათვალისწინებული 55,9-ის ნაცვლად 58,7 პროცენტი შეადგინა.

ითქვა ბევრი სხვა მიღწევის შესახებ, მაგრამ. კონფერენციამ ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებზე, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება თითოეულ საამქროსა და უბანზე და რომელთა აღმოფხვრა შემდგომი წინსვლის საწინდარია.

უძველეს პირველ საამქროში, რომელსაც ახლანან ნახევარი საუკუნე შეუსრულდა, განხორციელდა სადნობი ღუმელების რეკონსტრუქცია, მექანიზებულია კაზმის ჩატვირთვა. ამასთან საამქროს უფროსის დ. გელესიანისა და პარტბიუროს მდივნის ზ. ბუცხრიკიძის ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის გამო წლეულს გადახარჯულია 5.168 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, გახშირდა ტრავმები, აირგამწმენდ სისტემაში მოხდარი ავარიის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა 70 ძვირფასი ფილტრი.

იმის მიუხედავად, რომ მოძველებული ელექტროამწეები ახლით შეიცვალა და კირის ნაცვლად ნაწილობრივ კირქვას იყენებენ, მეორე საამქროს ტექნიკური ხელახალი შეიარაღება ნელი ტემპით მიმდინარეობს. ბრიგადები, რომლებსაც ო. ჩაჩუა, ბ. მუჯირი, ვ. ნებიერიძე და ვ. სარალიძე ხელმძღვანელობენ, ხშირად წუნიან პროდუქციას უშვებენ. პარტბიუროს ახალ შემადგენლობას დაევალა შეიმუშაოს გადაუდებელი ღონისძიებები ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. ქარხნის მთავარი ინჟინრის ი. არაბულის ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ საჭიროა საამქროს ქმედითი დახმარება გაუწიონ საწარმოო და ტექნიკურმა განყოფილებებმა.

ამიაკის წყლის სიმცირის გამო მესამე საამქროში ნელდება წარმოების ტემპი. აქ ხშირად უმოქმედოდაა საენტალაციო სისტემა, იგრძნობა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. ქარხნის დირექტორის მოადგილეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში გ. ბიბილაშვილს, მომარაგებისა და მოწყობილობათა განყოფილებების ხელმძღვანელებს ჯ. ყიფიანსა და ო. გურგენიძეს, საამქროს უფროსს ა. სიმონგულოვსა და პარტბიუროს მდივანს ჯ. ტალახაძეს დროზე რომ მიეღოთ გადამჭრელი ზომები, ასეთი ვითარება არ შეიქმნებოდა. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ეს პრობლემები გულთან უფრო ახლოს უნდა მიიტანოს საწარმოს პარტიულმა კომიტეტმა, მითუმეტეს, რომ საამქროს გაუმართავ მუშაობაზე ითქვა ჯერ კიდევ წინა პარტიულ კონფერენციაზე.

მეოთხე საამქროში არ მოქმედებს ნელი მასალების აღრიცხვისა და ხარჯვის სწორი სისტემა. აირგამწმენდი უბანი შეფერხებებით მუშაობს, რაც უსუფთაო ამონაბოლქვის წყაროა. ამიტომაც უბნის მესვეურებს სამართლიანად შეაბასებენ: რწმენის ჩანერგვა ძნელია, ხოლო მისი დაკარგვა — იოლი. საამქროს უფროსს ლ. ბეგაძესა და პარტბიუროს მდივანს ლ. კაკაურიძეს ამოცანად დაუსახეს უზრუნველყონ მინდობილი საქმისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობის ამაღლება. არადა შესაძლებლობანი დიდია. საკმარისია ითქვას, რომ აქ მუშაობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. გაჩეჩილაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. კობახიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვ. არაბიძე და სხვა მოწინავე ადამიანები.

საანგარიშო პერიოდში შექმნილი მეხუთე საამქრო უპირველესია ქარხანაში. აქ მთლიანად ათვისებულია ელექტროღუმელების საპროექტო სიმძლავრეები. კლებულობს დანახარჯები ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე. თვითღირებულება შარშანდელთან შედარებით 7 პროცენტით შემცირდა. ყოველივე ეს საამქროს უფროსის ი. ცქიტიშვილის, პარტბიუროს მდივნის გ. ნებიერიძის, მთელი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის მონდომებულ მუშაობაზე მეტყველებს.

აგლომერაციის საამქრომ უკვე 1981 წლის მეოთხე კვარტალში აითვისა საპროექტო სიმძლავრეები, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა. იკარგება ათასობით ტონა აგლომერატი, ირღვევა კაზმის მიწოდებისა და დოზირების ტექნოლოგია, დაბალია სამემსრულებლო დისციპლინა. პარტიული ორგანიზაციის კრებაზეკი არ იხილავენ წარმოების სრულყოფის აქტუალურ საკითხებს. ამგვარი უპასუხისმგებლობის შედეგი იყო, რომ პარტბიუროს მდივანი ა. კახნიაშვილი წლევანდელი ანგარიშგების დროს კომუნისტებმა აღარ აირჩიეს თავიანთ წინამძღოლად. კონფერენციამ პარტბიუროს ახალ შემადგენლობას საბრძოლო ამოცანად დაუსახა საქმიანობის არსებითი გარდაქმნა.

ნაკლოვანებებია ცალკეულ უბნებზეც. მაგალითად, მთავარი ენერგეტიკოსისა და მთავარი მექანიკოსის სამსახურები, რომლებსაც კომუნისტები ი. გურგენიძე და დ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობენ, ყოველთვის როდი უზრუნველყოფენ მანქანა-დანადგარების შეუფერხებელ მუშაობას, შეკეთებათა დროზე და ხარისხიან ჩატარებას. რკინგზის ტრანსპორტის საამქროში კვლავ დიდია ვაგონების მოცდენების რიცხვი. ტექნიკური უსაფრთხოების განყოფილება ამისეიპულად ან მსჯელობს თითოეულ დარღვევაზე, არ აღკვეთს მათ. ცენტრალური ლაბორატორია ბოლო დროს ნაკლებად იმუშავებს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებს.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ხელმძღვანელობამ და „ფეროშენადნობთა“ გაერთიანების მთავარმა სამმართველომ მეტი დახმარება უნდა გაუწიონ საწარმოს ნედლეულით, მოწყობილობებითა და სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაში. „საქმთავარენერგოს“ მისამართით ითქვა, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ავარიული ამორთვების ლიკვიდაციას, განსაკუთრებით ზამთარში.

ქარხნის დირექტორმა გ. ქაშაკაშვილმა და მდნობელმა გ. ბაბუხადიამ ილაპარაკეს საწარმოს ბაზაზე პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი ან საღამოს სწავლების განყოფილების გახსნის საჭიროებაზე.

მეოთხე საამქროს ბრიგადირმა ვ. არაბიძემ, მოწინავე მუშამ რ. თუთარაშვილმა და სხვებმა პრინციპულად მოითხოვეს მუშამოსამსახურეთა სავაჭრო, კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება.

კონფერენციის მიერ მიღებულ დადგენილებაში აისახა სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის მრავალი საჭირბოროტო საკითხი, რომელთა მოგვარება ახალარჩეული პარტიული კომიტეტისა და საწარმოს ხელმძღვანელობის საქმეა.

შ. ქლიბაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

საქართველოს სსრ საბალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა ქარელის, მცხეთისა და დმანისის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის ჩაყრის გეგმების შესრულებისა და სათესად მომზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

კომიტეტმა სისტემატური მეთვალყურეობა დაიწყო რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის ჩაყრის გეგმების შესრულებასა და მისი სათესად მომზადების მიმდინარეობაზე. სექტემბერში შემოწმდა დუშეთის, კასპის, საგარეჯოსა და სიღნაღის რაიონებში ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა და საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის მომზადების დადგენილი წესებისა და ვადების უხეში დარღვევებისათვის მკაცრად დასაჯენ მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები. მორიგი შემოწმებისას კვლავ გამოვლინდა, რომ საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის მომარაგებისა და სათესი კონდიციის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, ქარელის, მცხეთისა და დმანისის რაიონების მთელ რიგ მეურნეობებში სერიოზული ხასიათის დარღვევები და ნაკოვანებანია საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის სათესად მომზადების საქმეში. მეურნეობათა ერთ ნაწილში საშემოდგომო ხორბლისა და ქერის თესლის ჩაყრის გეგმების შეუსრულებლობასთან ერთად, უხეშად არღვევენ თესლის შენახვისა და თესვისათვის მზადების დადგენილ წესებსა და ვადებს. ცალკეულ მეურნეობებში კვლავ არის დიდძალი ცუდი ხარისხისა და უკონდიციო თესლი. უფრო მეტიც, მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების დაუდევრობითა და წაყრუებით არის თესლისა და სარგავი მასალების ხარისხის სახელმწიფო ინსპექციების მიერ შეუმოწმებელი და სათანადო მოწმობის გარეშე თესლის თესვის შემთხვევები.

საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის ჩაყრის გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიუხედავად, ქარელის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობანი არ არიან უზრუნველყოფილი კონდიციური თესლით. შემოწმებისას ამ კულტურათა თესლის კონდიციური ნაწილი შეადგენდა მოთხოვნილების მხოლოდ 76 პროცენტს. მეურნეობებში სიწმინდით უკონდიციო იყო 1690 ცენტნერი საშემოდგომო ხორბლის თესლი ანუ 15 პროცენტი, ხოლო ქერის თესლი—1740 ცენტნერი, ანუ 33 პროცენტი. ამ მხრივ სერიოზული ჩამორჩენაა დმანისის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში, სადაც საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის ჩაყრის გეგმა შესრულებული იყო 60 პროცენტით, ჩაყრილი თესლიდან კონდიციური იყო მხოლოდ 48 პროცენტი, თესლის ნაკლებობას განიცდიან აგრეთვე მცხეთის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობანი.

საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლით მომარაგებისა და სათესი კონდიციის უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ცალკულ შემოწმებულ მეურნეობებში. ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობამ საშემოდგომო ხორბლის თესლის ჩაყრის გეგმა შეასრულა მხოლოდ 50 პროცენტით. ამასთან მეურნეობის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების დაუდევრობით ჩახურდა და შემდგომი თესვისათვის მთლიანად უვარგისი გახდა გამოყოფილი საკუთარი წარმოების 1100 ცენტნერი ხორბლის თესლი, თანაც მეურნეობამ სრულიად უნებართვოდ დაიწყო თესვა და 110 ჰექტარზე დათესა აღნიშნული უკონდიციო თესლი.

მცხეთის რაიონის ნატახტრის მებოსტნეობის საცდელ-საჩვენებელ საბჭოთა მეურნეობაში საკუთარი წარმოების საშემოდგომო თავთავიანი კულტურების 250 ცენტნერი თესლი მთლიანად უკონდიციო იყო სიწმინდით, აქვე უხეშად იყო დარღვეული თესლის აღრიცხვისა და შენახვის წესები. მეურნეობაში შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობის შედეგად იყო ქათესი აგრეგატების, მოცდენები და უხარისხო თესვის ფაქტები. კერძოდ, 3 ჰექტარ ფართობზე (ეგრეთ წოდებულ აეროპორტის ნაკვეთში) თესავდნენ უხარისხოდ, არ იყო დაცული თესლის ჩათესვის სიღრმე, რის გამოც თესლის 20-25 პროცენტი ნიადაგის ზედაპირზე ეყარა.

დმანისის რაიონის გომარეთის მეცხოველეობის სასუქებელ მეურნეობა კომპლექსში საშემოდგომო თესვისათვის გამოყოფილი 1000 ცენტნერი საკუთარი წარმოების ხორბლის თესლიდან კონდიციური იყო მხოლოდ 300 ცენტნერი, ისიც მესამე კლასისა, ხოლო 700 ცენტნერი უკონდიციო იყო სიწმინდით. მეურნეობა-კომპლექსში დათესილი იყო 370 ცენტნერი საკუთარი წარმოების თესლი, საიდანაც, თესლისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ცნობით, 300 მიეკუთვნებოდა მესამე კლასს, ხოლო 70 ცენტნერზე არ არსებობს აღნიშნული ინსპექციის დასკვნა თესლის ხარისხიანობის შესახებ. ასევე სწორად არ მოიქცა ამავე რაიონის განთაადის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა, რომელმაც თესლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მიერ თესლის სათესლეობისა ვარგისიანობის შესახებ მოწმობის გარეშე ცუდი ხარისხის თესლი დათესა 178 ჰექტარზე.

საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის სათესად მომზადებაში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ადგილებზე აგროსამრეწველო გაერთიანებანი დროულად არ აბორკავენ ღონისძიებებს და სათანადო პასუხს არ სთხოვენ პირებს, რომელთა უმოქმედობით უხეშად ირღვევა თესლის მომზადების აგროტექნიკით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ამ საქმისადმი არასათანადო კონტროლია დაწესებული სახალხო კონტროლის რეგიონალური კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების მხრივ.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილებით, შემოწმების მასალები გადაეგზავნა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს სათანადო რეაგირებისათვის.

მცხეთის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მოწყობილი შემოწმების მასალები სათანადო რეაგირებისათვის გადაეცა საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომს.

ქარელის, დმანისისა და მცხეთის რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტებს დაევალათ განაზორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ქმედითობის ამაღლების გზით უზრუნველყოფენ საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების თესლის ჩაყრის გეგმების დროულ შესრულებასა და მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

* * *

საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ ოპერატიულად იმსჯელა დმანისის რაიონის განთიადის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობაში საშემოდგომო თესვის წესების განსაკუთრებით უხეშ დარღვევათა შესახებ და გადამჭრელი ღონისძიებანი დასახა მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

კოლეგიამ საშემოდგომო კულტურების თესვისათვის მზადებაში მეურნეობებისადმი სუსტი ორგანიზატორული ხელმძღვანელობის, თესლით უზრუნველყოფისა და მაღალი სათესი კონდიციის უზრუნველყოფის საქმეში გამონენილი გულგრილობისა და ნაკლოვანებათა დაფარვის ხელშემწყობი პირობების დაშვებისათვის დმანისის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს ვ. ჭალიძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური.

მეურნეობის ხელმძღვანელისათვის შეუფერებელი უპასუხისმგებლობის გამოჩენისათვის, თესლის წმენდის დასაჩქარებლად კოლეგიის ამა წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების შესასრულებლად ღონისძიებათა განუხორციელებლობის, აგრეთვე დადგენილი წესების უხეში დარღვევით მეურნეობაში უსაბუთო თესლის თესვის დაშვებისათვის განთიადის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ტატუაშვილი იმსახურებს თანამდებობიდან დათხოვნას, მაგრამ გათავისუფლებულ იქნა მისი გულწრფელი მონანიება მომხდარი ფაქტის გამო, რაც „გაჰოწვეული იყო სპეციალისტების თვითნებური ქმედებით, და გამოეცხადა სასტიკი საყვედური. თანამდებობაზე მისი დატოვების საკითხს განიხილავენ 1984 წელს მარცვლეულის წარმოების გეგმების შესრულების შედეგების მიხედვით.

მოკავალი მოსავლის საწინდარი

კონსერვებზე—ნაკადურად

კვების მრეწველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში. დღის წესრიგშია ასორტიმენტის გაფართოება, განსაკუთრებით ძვირფასი კვების პროდუქტების გამოშვების გადიდება, ხარისხის გაუჯობესება.

აჭარის საკონსერვო საწარმოო გაერთიანების ნაკადური ხაზიდან ჩამოდის ათობით მილიონი ქილა ციტრუსების ჯემები, წვენები, მურაბები, ცუკატები, ხილფაფა, დაკონსერვებული ქლიავი, ლეღვი, კაკალი, ვაშლი, მსხალი. სამი კვარტალის გეგმის გადამეტებით წარმოებულია 1626 ათასი მანეთის პროდუქცია.

● ●

სურათზე: საფაბრიკატო საამქროს ერთ-ერთი საუკეთესო მუშა ბინაზი არძენაძე; კომპოტების წარმოების ნაკადური ხაზი.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ფართოდ გახსნილი გულით

ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკებში ორჯერ აღინიშნა გამოჩენილი აზერბაიჯანელი ლიტერატურათმცოდნის ქემალ თალიბზადეს იუბილე. აზერბაიჯანში გამართული ზეიმის შემდეგ მეცნიერის 60 წლისთავი აღინიშნა მარნეულში, რომელიც მას მეორე სამშობლოდ მიაჩნია. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ნაწილი პროგრამისა, რომელიც საქართველოში შესთავაზეს აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნიზამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის თვალსაჩინო მეცნიერთა ჯგუფს. მათი ჩამოსვლა ორი ხალხის ურღვევი ძმობის, მათი კულტურების მჭიდრო კავშირის მკაფიო გამოვლინება **გახდა.**

მარნეულის მახლობლად სოფელ სადახლოში დაიბადა და გაიზარდა აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსი, პოეტი და დრამატურგი ადდაფა შაიგი. მისმა ვაჟმა ქემალ თალიბზადემ, რომელმაც ბავშვობდანვე შეიყვარა მამის მშობლიური მხარე, ეს სიყვარული გამოატარა წლების მანძილზე და გულთბილი ურთიერთობა აქვს სადახლოელებთან. სამი დღის მანძილზე აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ნიზამის სახელობის ინსტიტუტის დირექტორმა აზიზ მირაჰმედოვმა. —ჩვენ ხომ მხოლოდ იმისათვის არ ჩამოვედით, რომ აღგვნიშნა ქ. თალიბზადეს იუბილე მისი მამისა და მრავალი ჩვენი ერთ ორგანიზაციაში მუშათა კვების მდგომარეობას.

ამის გამო აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ი. ხარაზი რეფერატს სწერს:

სამინისტრომ განიხილა გაზეთში გამოქვეყნებული წერილი და განახორციელა სათანადო ღონისძიებანი. ამჟამად წერილში დასახელებული ობიექტები პირველ რიგში მარაგდებიან სასურსათო პროდუქტებით, საჭირო კონტროლი ეწევა გამოშვებული პროდუქციის ხარისხს. საწარმოთა ხელმძღვანელობას წინაშე დაისვა მთლიანი დაქვემდებარებულ სასადილოებში სარემონტო სამუშაოების დაჩქარებისა და სხვა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საკითხი.

აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო

„კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი „მკაცრი განხილვის საგანი“ შეეხებოდა აჭარის ზოგიერთ საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებაში ელექტრონული ინვენტარის ცუდ ხარისხს. ამ საკითხზე ასსრ ვაჭრობის სამინისტროს ინფორმაციაში ეწერა:

**ინვენტარის ნაკლოვანებანი ეცნობა ბ. ბ. ბ.

უკანასკნელი

ფაქტები
მოვლენები
საკვლევი
იუწყება

ჩვენი სახალხო დღესასწაულები

ზაზაობა

ამდენი სტუმარი არასდროს სწვეოია ქარელის რაიონს. თუმცა ცუდი ამინდი იყო, მიზეზენი ძამის ხეობით გაემართნენ ძველი ისტორიული სოფლის ორთუბნისაკენ, რომელიც ცნობილი ქართველი მკურნალის, შუა საუკუნეების თვალსაჩინო მოღვაწის, პირველი ქართული სამკურნალო წიგნის „კარაბადინის“ ავტორის ზაზა ფანასკერტელ-ციცილიშვილის სამშობლოა.

...მაღლობზე აღმართულ ფანასკერტელთა საგვარეულო კოშკზე ზაზა ფანასკერტელის პორტრეტია. იქვე დაუდგამთ ტრიბუნა, რომელზეც ადგილებს იკავებენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი.

ზაზაობა — შრომისა და ჯანმრთელობის ეს ახალი საბჭოთა დღესასწაული წლეულს პირველად გაიმართა და მან თვალსაჩინო წარმატებებით შეხვდნენ რაიონის მშრომელები, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ხილის დამზადების წლიური გეგმა და სხვა დავალებანი.

დღესასწაული გახსნა საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. კილასონიამ. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორმა გ. შენგელიამ. ფანასკერტელის ღვაწლსა და ამაგზე ილაპარაკეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსმა ი. ციციშვილმა, პოეტმა ნაზი კილასონიამ, ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გ. გიკაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა თამარ ციციშვილმა და სხვებმა.

დღესასწაულზე ჰიპოკრატეს ფიცი დადეს ქარელის რაიონის ახალგაზრდებმა — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმა. შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობები და რაიონის ხელოვნების ოსტატები.

ლიხნის მინდორზე გვიან საღამომდე გრძელდებოდა ზეიმი — შრომისა და შემოქმედების, ძმობისა და მეგობრობის ეს დიდი დღესასწაული.

ი. გოგბერიძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ზეიმი—შრომის გვირგვინი

შემოდგომის ამ მზიან დღეს, მართლაც რომ დიდებული სანახავი იყო სოფელი ლიხნი, გუდაუთის რაიონის ათასობით მცხოვრები, აფხაზეთის ქალაქებიდან და რაიონებიდან, თბილისიდან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან ჩამოსული მრავალრიცხოვანი სტუმრები შეიკრიბნენ სოფლის ისტორიულ მინდორზე, სადაც მოსავლის, სახალხო კულტურისა და ხელოვნების მიღწევებისადმი მიძღვნილი ზეიმი — ლიხნობა გაიმართა.

... ზეიმს ესწრებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

ტრიბუნას ომახიანი სიმღერებით ჩაუარეს დურიფშელთა, აპანდარელთა, აბღარხუკელთა, ყულანურსველთა და გუგუძირხველთა, რაიონის სოფლების წარმომადგენელთა კოლონებმა.

— სიამაყის გრძნობას იწვევს ყოველ ჩვენგანში ის, რომ დღევანდელ ზეიმზე მშობლიურ პარტიასა და ხალხს შეგვიძლია ვუპატაკოთ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში — ამბობს ლიხნის XIV პარტყრილობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ჰაკობეი აიბა.

სახელდახელოდ მოწყობილ ესტრადაზე ერთმანეთს ცვლიან რაიონის თეატრალური და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები, ინდივიდუალური შემსრულებლები, მხატვრული სიტყვისა და სცენის ოსტატები.

ლიხნის მინდორზე გვიან საღამომდე გრძელდებოდა ზეიმი — შრომისა და შემოქმედების, ძმობისა და მეგობრობის ეს დიდი დღესასწაული.

ი. გოგბერიძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქართველოს სტუმრები

12 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია ეკონომიკის ფედერალური მინისტრის ოტო გრაფ ლამბსდორფის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის XII სესიაში.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ა. კოსტანდოვი.

სტუმრებმა დაათვალიერეს მცხეთისა და თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ქალაქის მუზეუმებში, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. ისინი გაეცნენ საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ოკამის ღვინის ქარხნის მუშაობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სადილი გაუმართა დასავლეთ გერმანიის დელეგაციას.

14 ნოემბერს სტუმრები თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრნენ.

რესპუბლიკაში სტუმრებთან ერთად იმოგზაურეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ო. ე. ჩერქეზიამ და გ. ა. ანჩაბაძემ.

თანამშრომლობის ფარგლებში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტში გაიხსნა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ შექმნილი სამეცნიერო და კვლევითი აპარატურის, სამეცნიერო-კვლევისა და წარმოების ავტომატიზაციის სისტემების გამოფენა. იგი მოეწყო სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია კომპიუტერული სისტემები, სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი ლაზერული დანადგარები, რობოტტექნიკის სხვადასხვა ნიმუში, სამეცნიერო ნაწარმის ხარისხის არამრღვევი კონტროლის, სათბურებში კლიმატის კონტროლის აპარატურა...

გამოფენა გახსნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ნ. ლანდიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოსა და ბულგარეთის სამთოელ მეცნიერთა შორის დიდი ხნის მჭიდრო ურთიერთობაა, მაგალითად, მადნეულის ამოღების მეთოდებისა და გამდიდრების ხერხების, ამ მიზნებისათვის შესაბამისი მოწყობილობის, მანქანებისა და მექანიზმების შექმნის დარგში.

— იმედი გვაქვს, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი აპარატურა, ხელსაწყოება და მოწყობილობა დაიინტერესებს ქართველ კოლეგებს, — თქვა საპასუხო სიტყვაში გამოფენის დირექტორმა, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილების ხელმძღვანელმა ვ. ემანუილოვმა.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრები.

გამოფენა 18 ნოემბრამდე გასტანს.

(საინფორმო).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის ბანკის ორგანოების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მშენებლის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ამხ. ხაალ გრიგოლის ძე **გენძეხაძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელით.

სოციალისტურ ქვეყნებში

● ვიეტნამი

რეკორდული მოსავალი

ხოშიმინი. სამხრეთ ვიეტნამის მთავარი მდინარის — მეკონგის მრავალ შენაკადსა და არხში მიცურავენ ახალი მოსავლის მარცვლეულით პირთამდე სავსე კარჭასთა ქარავნები. დამთავრდა საზაფხულო ალოობა ქვეყნის ამ ვრცელ პლანტაციებში. სახელმწიფო მიმღებ პუნქტებში ჩაიბარეს რესპუბლიკის მთავარი ჰირნახულის პირველი ათასობით ტონა.

მიმდინარე წლის ზაფხულის მოსავალი რეკორდული აღმოჩნდა. შარშანდელთან შედარებით ასი ათას ტონაზე მეტი ბრინჯი მოიწიეს. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსავლიანობა.

ეს არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფართოდ გამოყენების, მინერალური სასუქების სახელმწიფო მიწოდების, აქტიური საირიგაციო მშენებლობის შედეგი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია გლეხობის კოოპერირება, კოოპერატივებში აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა გამოყენება.

● მონღოლეთი

დარგი დინამიკურად ვითარდება

ულან-ბატორი. მნიშვნელოვანი რაოდენობით ძვირფასი ნედლეულის ეკონომია და ახალსახეობათა ნაწარმის გამოშვების ათვისება—ესეთი ორმაგი მოგება მისცა ტოსონცენგელის ხისდამუშავებელ კომბინატს — ახალ უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადასვლამ. ამჟამად ახალი მოწყობილობა, რომელიც საშუალებას იძლევა მთლიანად გადაამუშაონ მერქანი, იდგმება ბევრ სხვა სპეციალიზებულ საწარმოშიც.

ათიოდე წლის წინათ შექმნილი ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობა დღეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თანამედროვე, დინამიკურად განვითარებულ დარგად გადაიქცა. საკმარისია ვთქვათ, რომ მის წილად მოდის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთელი სამრეწველო პროდუქციის ათ პროცენტზე მეტი. მატერიალური რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენება ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, რომელიც დარგის მშრომელებს დაუსახა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის მე-18 ყრილობამ. მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში დიდ დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი. საბჭოთა სპეციალისტების ხელშეწყობით ქვეყანაში აშენდა მთელი რიგი მსხვილი საწარმოები, რომლებიც დღეს უკვე მთლიანად აკმაყოფილებენ მერქნისაგან დამზადებულ ძირითად სახეობათა ნაწარმზე ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნას.

● გდრ

მექანიკური „ხელების“ სიკეთე

ბერლინი. აიზენახის (ერფურტის მხარე) საავტომობილო ქარხნის მშრომელებმა ყველაზე შრომატევადი ოპერაციები სამრეწველო რობოტს „მიანდეს“. მან იკისრა მომავალი მანქანებისათვის დეტალების ცხელი შტამპვის ხაზის მომსახურება.

წინათ ამ საამქროში ხელის შრომა გამოიყენებოდა. მაგალითად, გახურებული ნამზადი მძლავრი წნეხის ქვეშ მარტივი ხელსაწყოთის დახმარებით მუშებს გადაჰქონდათ, ახლა მათ მაგიერ ამას მანიპულატორის მექანიკური „ხელები“ ასრულებენ. ამის შედეგად არა მარტო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომის პირობები, არამედ გაიზარდა მისი მწარმოებლობაც. ამას გარდა ახალი ტექნიკის გამოყენების შედეგად რამდენიმე მუშა გადაიყვანეს წარმოების სხვა უბნებზე, მექანიკური თანაშემწის დიდი სიზუსტის მეოხებით მთლიანად გამორიცხულია წუნი.

● აშშ

დაგმეს რეიგანის შგუნური პოლიტიკა

ნიუ-იორკი. კლივლენდში (ოჰაიოს შტატი) მუშაობა დაამთავრა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XXIII ეროვნულმა ყრილობამ.

ბოლო დღეს პარტიული ფორუმის დელეგატებმა ერთხმად მოიწონეს კომპარტიის გენერალური მდივნის გეს ჰოლის საანგარიშო მოხსენება, აგრეთვე პოლიტიკური რეზოლუცია. რეიგანის ადმინისტრაცია, აღნიშნულია მასში, მსოფლიოს უბიძგებს ბირთვული კონფრონტაციისაკენ. პრეზიდენტმა გამოუცხადებელი ომები თავის სახელმწიფო პოლიტიკად გახადა. მსოფლიო ბატონობის პრეტენზიები, დაუფარავი იმპერიალისტური აგრესიის აქტები, ფანატიკური ანტიკომუნიზმი — აი, რეიგანის კურსის არსი.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში იზრდება საპროტესტო მოძრაობა მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამერიკის საზოგადოებრობას სულ უფრო უკეთ ესმის, რომ საომარი საფრთხის წყარო სწორედ რეიგანის ადმინისტრაციაა, „ზეზღუდული“ ბირთვული ომის უგუნური კონცეფციები, საბჭოთა კავშირზე ბირთვული უპირატესობის აჩრდილის გამოდევნება. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულია რეზოლუციაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მიერ წამოყენებული სამშვიდობო ინიციატივები სამართლიანი და რეალისტური საფუძველი ბირთვული განიარაღების შესახებ მოლაპარაკებისათვის.

ფორუმის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ საქმეობა 1984 წლის პრეზიდენტის არჩევნების წინ შეიქმნას დემოკრატიულ ძალთა ერთიანი ფრონტი, რომელიც წინააღუდგება რეიგანსა და მის დამჭაშებს.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საზღვარგარეთის მოძმე პარტიების დელეგაციები. ფორუმზე მქუხარე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისასალმებელ წერილს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XXIII ეროვნული ყრილობისადმი.

ყრილობამ გადაწყვეტილება მიიღო კომპარტიის კანდიდატები წამოაყენოს პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტებზე, რაც საშუალებას მისცემს კომპარტიას ამერიკელ ამომრჩევლებს შესთავაზოს მშვიდობისათვის, დასაქმებისა და თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის პროგრამა.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

● ● ●

„შუშანიკის წამება“ საოპერო სცენაზე

(დასასრული)

შემოქმედებითი კოლექტივის ახალი ნამუშევარი გახდა დებიუტი როგორც კომპოზიტორისა და დამდგმელისათვის— დრამატული თეატრის ცნობილი რეჟისორისათვის, ისე მხატვარ თემურ ნინუასთვის და სოლისტ მარიკა მაღლაფერიძისთვის, რომელმაც პირველად შეასრულა ესოდენ რთული წამყვანი პარტია.

— ალბათ, გარკვეული კავშირია იმაში, რომ დებიუტების სპექტაკლი ექსპერიმენტის სპექტაკლიც გახდა, — თქვა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა რობერტ სტურუამ, რომელიც სხვათა შორის, თვითონვე ლიბრეტოს ავტორიცაა. — ეს ტრადიციული ოპერა არ გახლავთ, უფრო სინთეზური სპექტაკლია. მის ქარგაში ჩაქსოვილია დრამატული მოქმედების ელემენტები, ხოლო ბალეტის ნომრები გადმოგვცემენ განწყობილებას, მუსიკალური თემის განვითარების ილუსტრაციას.

შუშანიკის ტრაგიკული ამბავი, რომელმაც წამებით სიკვდილი ამჯობინა სარწმუნოებაზე უარის თქმას, თამაშდება ხერხის „თეატრი თეატრში“ მეშვეობით. სპექტაკლის მოქმედება წარმოებს არა V საუკუნეში, არამედ რევოლუციამდელ საქართველოში, და ეს დროებრივი შენაცვლება განსაკუთრებული აზრით არის აღსავსე. პირველი აქტი სრულდება ძველქართული პროზის კანონიკური ტექსტით, მეორეში კი ავტორებმა გადაუხვიეს პირველწყაროს. თეატრის მოყვარულთა დასი წარმოდგენას მართავს ქალაქგარეთ ერთ-ერთ მოედანზე. დასის დირექტორი (ამ როლში გამოდის სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე), მაყურებელს უამბობს შუშანიკის ამბავს და წარმოდგენის მონაწილეებს სთხოვს გაბრთქვან თავიანთი დამოკიდებულება მთავარი გმირისადმი. იქმნება გმირის სახე, რომელიც სრულებითაც არა ჰგავს „წმინდა წამებულებს“, როგორც მათ საეკლესიო ლიტერატურაში ხატავდნენ ხოლმე. და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ეს უანგარო ერთგულება სხვა არაფერია, თუ არა ხალხის ნათელი იდეალებისადმი ერთგულებ ასეთი დასკვნა გამოაქვთ სახალხო წარმოდგენის მონაწილეებს. ყველა დროში მოწამეობის უნარი აქვთ სულით ძლიერ ადამიანებს, რომლებსაც მგზნებარედ უყვართ თავიანთი ხალხი, სამშობლო. ამას გვეუბნება თბილისის საოპერო თეატრის ახალი ნამუშევარი, ამაშია, მისი თანამედროვე ეროვნულობა.

სპექტაკლი „იყო მერვესა წელსა“ გულთბილად მიიღო მაყურებელმა, იგი თეატრის ისტორიის ერთი საინტერესო ფურცელი გახდა. პრემიერის დღეს დირიჟორის პულთან ედგა საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელმის პრემიის ლაურეატი ჯანსუღ ცახიძე.

(საქინფორმი).

სადღესასწაულო საჩუქარი

უკრაინელმა კომპოზიტორმა ანატოლი ნოვოსადმა თავისი ახალი ვოკალური ნაწარმოების თანაავტორად აირჩია ქართველი პოეტი ნოდარ გურეშიძე. კომპოზიტორმა „ლიტერატურნაია გაზეტაში“ წაიკითხა ლექსი „ბოლშევიკები ძველი გვარდიის“ და ამ სიტყვებზე მუსიკა დაწერა. ასე იშვა ახალი სიმღერა, რომელიც ქალაქ როვნოს გაზეთ „სლოვო პრავდაში“ დაიბეჭდა.

სიმღერის დაბადება დაემთხვა ქალაქ როვნოს დაარსების 700 წლისთავს. ქალაქის ამასწინანდელ საიუბილეო ზეიმზე ეღერდა ანატოლი ნოვოსადის სიმღერაც, რომელიც პარტიის ვეტერანებს ეძღვნება.

სულ ახლახან კიევის სახელმწიფო გამომცემლობა „მუზიჩნა უკრაინამ“ გამოუშვა საიუბილეო კრებული „აშობელი მხარის სიმღერები“. კრებულში შევიდა ა. ნოვოსადის სიმღერაც. რომელიც იუბილარი ქალაქის სადღესასწაულო საჩუქარი გახდა.

უკრაინელი კომპოზიტორები პირველად როდი მიმართავენ ქართველი ლირიკოსის შემოქმედებას. რამდენიმე წლის წინათ კომპოზიტორმა ნიკოლოზ დრემლიუგამ ნოდარ გურეშიძის ლექსზე დაწერა სიმღერა „განთიადი“, რომელმაც პოპულარობა მოიხვეჭა უკრაინაში. ორივე სიმღერა შეტანილია მომმღერსპუბლიკის პროფესიული და თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების რეპერტუარში. (საქინფორმი).



ასე მკვიდრდება ტრადიცია

ებრაულმა კამერულმა მუსიკალურმა თეატრმა ახალი ნამუშევარი გააცნო თბილისელებს. შოლომ ალეიხემის ფართოდ ცნობილი ნაწარმოები „ანატევკელი თევიე“ დასის მეხუთე სპექტაკლია. თვითონ თეატრიც ხომ სულ ხუთი წლისაა. მაგრამ უკვე შეიძლება ლაპარაკი მის ტრადიციებზე. პრემიერამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თეატრს სწორი გზა აურჩევია. თეატრის შემოქმედებას ღრმა ეროვნული, ხალხური ფესვები აქვს და ეს არის მისი წარმატების საიდუმლო. ჭეშმარიტად ხალხური ხომ ყოველთვის ინტერნაციონალურია და ამიტომ — ყველასათვის მისაწვდომი.

სპექტაკლის ავტორებმა იური შერლინგმა და მიხეილ გლუზმა შემოგვთავაზეს ხასიათების გადაწყვეტა, რომელიც ახლოა შოლომ ალეიხემის ხალისიანი ნაწარმოების სულისკვეთებასთან.

— ჩვენ ვცდილობდით წარმოგვეჩინა შესანიშნავი ჰუმანისტი მწერლის შემოქმედების ნამდვილად ინტერნაციონალისტური პათოსი, — თქვა თეატრის ხელმძღვანელმა იური შერლინგმა. — სტუდენტი რევოლუციონერი პერჩიკი და რუსი ყმაწვილი ფედკა, მათი თანამემამულენი — თერძები, მეწყალეები, მეკასრეები, — ერთად გაიზარდნენ და ერთ მიწაწყალზე ცხოვრობდნენ. და ყოველი მათგანისათვის მთავარია შეინარჩუნონ ადამიანური დამოკიდებულების სიწმინდე საერთო ბედნიერებისათვის, საერთო მომავლისათვის.

ყანრობრივად სპექტაკლი ყველაზე ახლოა მისტერიასთან, ხალხურ სანახაობასთან. ისევე როგორც თეატრის ყველა ნამუშევარში, აქაც ბევრია ოსტატურად დადგმული მასობრივი სცენები და ცეკვები. ორიგინალურია მხატვრული გაფორმებაც. მთავარი როლის თვალს შემსრულებელმა იაკობ იავნომ შეძლო მიეტანა მაყურებლამდე შოლომ ალეიხემის მთავარი იდეა — „ვიმღეროთ ხალასი მელოდია“, ადამიანობისა და სიკეთის ჰიმნი.

თეატრის ხუთი სპექტაკლიდან სამი სპექტაკლის პრემიერა თბილისში გაიმართა.

(საქინფორმი).

სურათზე: სპექტაკლის ერთი სცენა. ტევიე — მსახიობი იაკობ იავნო.

ჯ. ლომაძის ფოტო.

მსოფლიო პირველობა

თამაშობენ პრეტენდენტები

GAMES OF THE SUMMER

გთავაზობთ მოშადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩების ორი პარტიის ჩანაწერს:

სემიონოვა — იოსელიანი

მეორე პარტია

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ♞f3 d6 3. d4 c×d4 4. ♞×d4 ♞f6 5. ♞c3 a6 6. ♗g5 e6 7. f4 ♗e7 8. ♕f3 ♕c7 9. 0-0-0 ♞bd7 10. g4 b5 11. a3 ♖b8 12. ♗h4 ♞c5 13. ♖g1 b4 14. a×b4 ♖×b4 15. g5 ♞fd7 16. ♗e1 ♕b6 17. ♞d5 e×d5 18. ♗×b4 ♕×b4 19. e×d5 ♗b7 20. ♕e2 ♞b6 21. c4 ♞ed8 22. ♖g3 ♖e8 23. ♖e3 ♕a4 24. ♖e1 ♗×d5 25. ♖×e7 ♕a1+ 26. ♞c2 ♕a4+ 27. b3 ♕a2+ 28. ♞c3 ♞e4+ 29. ♞b4 a5+ 30. ♞b5 ♕a3 31. ♖×e8+ ♞c7 32. ♖e7+ ♞d7 33. ♖×d7 ♞×d7 34. ♞a6 ♕b4 35. ♞b5 ♗c6 36. ♕e8 ♞c8 37. ♗h3+. შავები დანებდნენ.

ალექსანდრია — ლევიტინა

პირველი პარტია

ახალინდური დაცვა

1. d4 ♞f6 2. c4 e6 3. ♞f3 ♗b4+ 4. ♗d2 ♕e7 5. g3 ♞c6 6. ♞c3 d5 7. c×d5 e×d5 8. ♗g2 0-0 9. 0-0 a5 10. ♕c2 ♗g4 11. e3 ♕d7 12. ♖fc1 ♖fe8 13. a3 ♗×c3 14. ♗×c3 a4 15. ♗e1 ♗f5 16. ♕c5 ♞e4 17. ♕b5 ♖a6 18. ♗b4 ♗g4 19. ♖c2 ♖d8 20. ♞e1 ♞×b4 21. ♕×b4 ♖b6 22. ♕a5 ♞d6 23. ♕×d5 ♖b5 24. ♕a2 ♗e6 25. d5 ♗f5 26. ♖d2 ♖b3 27. ♗f1 ♞e4 28. ♖d4 ♕e8 29. ♗d3 c5 30. d×c6 ♖×d4 31. e×d4 ♕×c6 32. ♕b1 ♞d2 33. ♕d1 ♖×d3 34. ♞×d3 ♞f3+ 35. ♞gf1 ♗h3+ 36. ♞ge2 ♞×d4+ 37. ♞d2 ♞b3+ 38. ♞e1 ♕e4+ 39. ♕e2 ♕×e2+ 40. ♞g×e2 ♞×a1 41. ♞c5 b5. თეთრები დანებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ორივე პარტიის დაბოლოებები წარიმართა მეტოქეებისათვის ორმხრივ ციტნოტში.

საქართველოს ჩემპიონატი

მასპინძლობა ვილნიუსი

ქალთა საკავშირო ჩემპიონატი, როგორც ყოველთვის, დიდ ინტერესს იწვევს. წლეულს საქართველოდან მასში 5 მონაწილე იქნება: მსოფლიო ექსჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, დიდოსტატები ნინო გურიელი და ელენე ახმილოვსკაია, სერთაშორისო ოსტატი თამარ ხუგაშვილი და ოსტატი ციცინო კახაბრიშვილი.

ზაფხულში ნონა გაფრინდაშვილს ჩინეთში შედეგი ჰქონდა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საქადრაკო ტურნირში, სექტემბერში კი ესპანეთის ქალთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. სახელგანქმული ქართველი მოქადრაკე წინათ სამჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და, როგორც ყოველთვის, ახლაც ოქროს მედლის პრეტენდენტად ითვლება. შეიძლება ითქვას, რომ საკავშირო ჩემპიონატი თავისი შემადგენლობით არაფრით არ ჩამოუვარდება მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირს. მისი მონაწილეების წინაშე კონკრეტული ამოცანაც დგას — ის, ვინც პირველ ადგილზე გამოვა, გაისად ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე ითამაშებს ქალაქ სალონიკში (საბერძნეთი).

ნინო გურიელი წინათ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ვერცხლის მედალს დაეუფლა და მაშინვე განაცხადა, რომ ამიერიდან მას უკვე ოქროს მედალი აინტერესებს. წლეულს გურიელმა დიდოსტატ ბალაშოვთან ერთად იმოგზაურა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, იქაურ უძლიერეს მოჭადრაკე ქალებს შეხვდა და 7 შესაძლებლიდან 5,5 ქულა მოაგროვა (1,5 ქულა ორ პარტიაში დიდოსტატ ლიუ შილანთან). დამაჯერებელი იყო ნინოს პირველი ადგილი ადგილ სოჭის საერთაშორისო ტურნირში, სადაც მან შორს ჩამოიტოვა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ლევიტინა. ერთი სიტყვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ გურიელი საკავშირო ჩემპიონატისათვის კარგად არის მომზადებული.

ელენე ახმილოვსკაია, რუსეთის ფედერაციის ნაკრების აღიარებული ლიდერი, კრასნოიარსკიდან საცხოვრებლად ჯერ სოჭში გადმოვიდა, სოჭიდან კი ბაქინთაში. ამრიგად, იგი საკავშირო ჩემპიონატის ფინალში პირველად იქნება საქართველოს წარმომადგენელი. ახმილოვსკაია დღემდე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი არ ყოფილა, თუმცა პრეტენდენტების ბრძოლაშიც მიიღო მონაწილეობა და არაერთ საერთაშორისო ტურნირშიც გაიმარჯვა. ახმილოვსკაია, როგორც ცნობილია, მეტად შეუპოვარი სატურნირო მებრძოლია, რომელმაც არ იცის კომბრომისი. ჩვენ გვიჭირს რომელიმე შემთხვევის დასახელება, როცა ახმილოვსკაიას რაიმე სერიოზული სატურნირო მარცხი განეცადოს, წარმატება კი, როგორც ვთქვით, ბევრი ჰქონია.

თამარ ხუგაშვილის ძალაზე მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ იგი სისტემატურად თამაშობს საკავშირო ჩემპიონატის ფინალში. 1981 წელს მან ბრინჯაოს შედალიც მოიპოვა. დამაჯერებელი იყო ხუგაშვილის მორიგი წარმატება საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში. თამარი ორიგინალურად თამაშობს. იმ სისტემებს, რომლებსაც იგი იყენებს, საფიბიტო სახელმძღვანელოებში ვერ ნახავთ. ყოველივე ეს მეტოქეებს მომზადებას უძნელებს, აიძულებს მათ „საკუთარი თავით“ ითამაშონ.

მტკიცე, ძლიერი ოსტატია საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი **ციცინო კახაბრიშვილი.** იგი სისტემატურად, წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა საკავშირო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. მასთან მოგება მეტად ძნელია. ციცინო კარგად იცნობს იმ საფეხიტო სისტემებს, რომლებსაც იყენებს, აქვს კარგი ტექნიკა და სათანადო სპორტული ღირსებებიც.

ასე რომ, ამჯერად, ჩვენი რესპუბლიკა საკავშირო ჩემპიონატზე ვილნიუსში მეტად სოლიდურ დელეგაციას გზავნის. შეჯიბრება დაიწყება 16 ნოემბერს.

გ. გამრეკელი.

საფურნიერო ორგიტა

ფარიკაობა. ლისაბონში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი. რაპირისტ ქალთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა კ. ხანიშმა (გფრ), ვაჟთა შორის კი ყველას აჯობა ა. ბორელამ (იტალია). დაწნით ასპარეზობაში პირველობას დაეუფლა ა. პუში (გფრ), ხოლო მობმალავეთა შორის პირველი იყო დ. სკალცო (იტალია). საბჭოთა მოფრიკავეებს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ფეხბურთი. ვილნიუსის „ყალგირისმა“ ამხანაგური მატჩი გამართა ვიტებსკის დედაქალაქ ხანოში. მისი მეტოქე იყო ამ ქალაქის ორი საკლუბო გუნდის ნაკრები. გიმმარჯვეს ვილნიუსელებმა ანგარიშით 2:0.

ნ. კაკუშაძე

ᲛᲔᲠᲘᲛᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ



გარდაიცვალა ქართველი მწერალი, 1940 წლიდან სკკპ წევრი ნოე კაკუშაძე.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა თავმდაბალი, ჩუმი თანამოკალმე, რომელიც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე გულალალად ემსახურებოდა მშობელ ხალხს, მშობლიურ ლიტერატურას.

ნოე კაკუშაძე დაიბადა წყალტუბოს რაიონის სოფელ საყულიაში. პირველდაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ნოე კაკუშაძემ 1940 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაასრულა.

შრომითი საქმიანობა სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო. მან თავისი ცხოვრებისეული გზა იმთავითვე დაუკავშირა ქართულ პოლიგრაფიას ჯერ როგორც ასოთამწყობმა, შემდეგ კი მუშაობდა სახელგამში გამომშვებად და საწარმოო განყოფილების გამგედ.

ნოე კაკუშაძე ქართველ პოლიგრაფისტთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოში ბეჭდვითი სიტყვის განვითარების საქმეში. იგი, როგორც ქართული პოლიგრაფიის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სხვადასხვა დროს სათავეში ედგა თბილისის პირველ სტამბას, მეორე სტამბას, იყო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის დირექტორი, წიგნის ფაბრიკის მშენებლობის მთავარი ინჟინერი, გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორის მოადგილე. ბეჭდვითი სიტყვის საქმეში დამსახურებისათვის ნოე კაკუშაძე დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელებით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

დიდი სამამულო ომის წლებში ნოე კაკუშაძე საფრონტო გაზეთების სამხედრო კორესპონდენტად მუშაობდა.

ლიტერატურულ მოღვაწეობას ნოე კაკუშაძე 1933 წლიდან ეწეოდა, ძირითადად გამოიცა მისი ლექსების წიგნი „დამკვრელ მშენებლებს“. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

მისი რომანები და მოთხრობების კრებულები „წიგნის სასახლე“, „დიდი სიცოცხლე“, „ოდგი“, „იმ ქარიშხლიან დღეებში“, „სინანული“, „და მაინც სიკვდილის შემდეგ“ უმთავრესად პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა ცხოვრებას ასახავს.

სამაგალითოდ კეთილშობილი პიროვნების, ჩინებული მოქალაქისა და მწერლის ნოე კაკუშაძის ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მეგობრებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა; საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა; საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 18 ნოემბერს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ᲥᲔᲠᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

ᲑᲐᲥᲘ, 14 ნოემბერი. (საკადესის კორ.). საქართველოს და აზერბაიჯანის მუსიკოსთა ტრადიციული თანამეგობრობის კიდევ ერთი დადასტურება გახდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. აზარაშვილის საავტორო საღამო. იგი გაიმართა უზ. ჰაჯიბეკოვის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ამ სამუსიკო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები იყვნენ პროგრამის შემსრულებლები.

— ვ. აზარაშვილის კონცერტზე შესრულებულმა კამერულმა ნაწარმოებებმა მსმენელთა ყურადღება მიიპყრო მუსიკალური სახეების სიცხადით, საინტერესო კომპოზიციური სტრუქტურით, — თქვა კონსერვატორიის პროფესორმა თ. ბაქიხანოვმა, — განსაკუთრებით გამოირჩევა სონატა ორი ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, რომელიც ხალხურ საფუძველზეა შექმნილი, კერძოდ, ქართული ცეკვის „მხედრულის“ ინტონაციებსა და რიტმებზე.



საირხე-ქართული კულტურის უძველესი კერა

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲔᲨᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘ

ასევე წლეულს ექსპედიციამ მიაკვლია და შეისწავლა დედგვაროვანი არისტოკრატიის აკლდამები, რომლებშიც უძველესი ქართული კულტურის ფასდაუდებელი ძეგლები აღმოჩნდა.

აკლდამები როულად არის ნაგები. როგორც ჩანს, იგი რამდენიმე კამერისაგან შედგებოდა. წლეულს გათხრილი სამარხი ორად ყოფილა გაყოფილი. ერთ ნაწილში დაკრძალული იყო სამი ყმაწვილი ქალი, რომლებსაც შესანიშნავად ნახელავი ოქროსა და ვერცხლის სამკაულები აკობდათ. აქ აღმოჩენილი გრეხილკალიანი ვერცხლის დიადემა, რომელიც ნატიფი ორნამენტითაა მოტივფრული, ძალზე ემსგავსება ვანში ნაპოვნ ამ სახის სამკაულს. დიადემის ასევე ვანის პირამიდულბოლოებიანი საყურეების მსგავსი საკიდები ამშვენებს. ბაჯაღლო ოქროს ეს ნაკეთები საკიდი, რომელთა წონა 60 გრამს აღემატება, შესაფერის მეტოქეობას უწევს ქართული საიუველირო ხელოვნების შედევრებს. ასეთივე დაზვეწილი მხატვრული გემოვნებით არის შესრულებული ოქროს ყელსაბამი, რომელიც ოქროთი ნაქნდაკები 27 ვერძის თავისაგან შედგება. ძაფზე ასხმული ოქროს მრგვალი მძივი თანაბრად ყოფს მანძილს თავებს შორის და ქანდაკებები ჰარმონიულადაა განლაგებული. ეს შესანიშნავი სამკაული ანალოგიას პოულობს ვანის მეთერმეტე სამარხში აღმოჩენილ ყელსაბამთან, რომელიც ასევე ვერძისთავებიანი ქანდაკებებისაგან შედგება. თავსამკაულის მშვენებას წარმოადგენს ხუთი ოქროს საყურე. მათი ნახევარმთვარისებრი დაბოლოება შემკულია გავარსით, ხოლო ოვალურად დაგრძელებული რკალის ერთ მხარეზე, მცენარეული სახის ორნამენტთან ერთად, გამოყვანილია მზისებრი ვარდულები — ასევე დამახასიათებელი დეტალი ადრეანტიკური ხანის ქართული ოქრომშედლობისათვის. ასეთივე ვარდულითა და ორნამენტით არის გადაწყვეტილი ბიჟონუსურტანიანი წყვილი საყურე, გავარსისავე პირამიდული ბოლოებით. ვერცხლისა და ოქროს სამკაულებს გარდა მიცვალებულებს ჩატანებულ ი ჰქონდათ რკინისა და ბრინჯაოს ნივთები — გრეხილრკალიანი დიადემები, სამაჯურები და სხვა ერთ-ერთ ასულს ხელში ეკავა ბერძნული ლეკითოსი. გეომეტრიული ორნამენტებითა და სუ-







გადაშალა საქართველოს უძველესი ისტორიის კიდევ ერთი მეტად საინტერესო გვერდი — არქეოლოგიური გათხრების შედეგად საირხეში გამოვლინდა ადრეანტიკური ხანის ბრწყინვალე კულტურა, ამ ორი ათას ხუთასი წლის წინათ რომ შეუქმნიათ ჩვენს შორეულ წინაპრებს.

საირხე ზემო იმერეთში მდებარეობს — ორიოდ კილომეტრზე საჩხერის სამხრეთით. მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზე შეფენილ, ტერასებზე გაშენებულ სოფელს რაჭა-იმერეთის ულამაზესი მთები და მის უკანასკნელ გაშტოებაზე აგებული „მოდინახეს“ ციხე გადმოჰყურებს. აქ, ამ სოფელში, ჯერ კიდევ სამოციან წლებში აწარმოა გათხრები საქართველოს ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და მცირე მასშტაბის სამუშაოების შედეგად მოძიებული, მეტად მნიშვნელოვანი მასალების შესწავლის საფუძველზე იმთავითვე გამოითქვა მოსაზრება, რომ ძველი წელთაღრიცხვის VI-I საუკუნეებში საირხე წარმოადგენდა ზემო იმერეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრს. მაშინ საირხე, რომლის არქაული სახელი სარახედ იკითხება გვიანფეოდალური ხანის ერთ წარწერაში, ბერძენი ავტორის კლავდიოს პტოლემაიოსის გეოგრაფიაში დასახელებულ კოლხეთის ქალაქ „სარაკეს“ გავუიგივეთ. ამ ვარაუდის დაბეჯითებით მტკიცება ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ უკანასკნელი ორი სეზონის მანძილზე მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლები დანამდვილებით ადასტურებს, რომ საირხე კოლხეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა ძველი წელთაღრიცხვის VI-I საუკუნეებში. საქალაქო ცხოვრების წარმოქმნას აქ წინუსწრებდა კულტურის მრავალსაუკუნოვანი განვითარება.

სოფლის დასავლეთით აღმართულ თხუთმეტ ბორცვსა და მათ შორის გაშლილ ვაკეებზე შესწავლილი არქეოლოგიური ფენები შეიცავენ ძველ წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის შუა ხანების მატერიალური და მხატვრული კულტურის ნაშთებს. ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოდან კი სამოსახლო გორები კოლხური ტომებით ჩანს დასახლებული. სწორედ კოლხური კულტურის ბაზაზე წარმოქმნილა აქ ადრეანტიკური ხანის ქალაქი.

ანაკრეფი მასალებისა და წინასწარი სადაზვერვო არქეოლოგიური თხრილების მიხედვით შედგენილ ტოპოგრაფიულ რუკებზე 100 ჰექტარს აღემატება ამ უძველესი ქალაქის ტერიტორია და ერთ-ერთი უდიდესია დასავლეთ საქართველოს ძველ დასახლებებს შორის.

საჩხერეში ბამბის სართავი ფაბრიკის მშენებლობასთან დაკავშირებით (რომლის სამშენებლო მოედანი ნაწილობრივ სოფელ საირხის ტერიტორიასაც მოიცავს) მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ სათანადო თანხა გამოყო არქეოლოგიური ძეგლების შესასწავლად და თითმეტი წლის შემდეგ კვლავ მოგვეცა საშუალება განგვეახლებინა ადრე დაწყებული გათხრები. აქ, სოფლის დასავლეთით აღმართულ სამბადურის ბორცის დასავლეთ ფერდობზე, მნიშვნელოვნად გავაფართოვეთ ჯერ კიდევ 1964 წელს გაჭრილი სადაზვერვო თხრილი. ფეოდალური ხანის კულტურული ფენის ქვეშ (დანაზიერებულ შრეებში) აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის მატერიალური და მხატვრული კულტურის ნაშთები. როგორც გასულ სეზონში, ასევე წლეულს ექსპედიციამ მიაკვლია და შეისწავლა დედგვაროვანი არისტოკრატიის აკლდამები, რომლებშიც უძველესი ქართული კულტურის ფასდაუდებელი ძეგლები აღმოჩნდა.

აკლდამები რთულად არის ნაგები. როგორც ჩანს, იგი რამდენიმე კამერისაგან შედგებოდა. წლეულს გათხრილი სამარხი ორად ყოფილა გაყოფილი. ერთ ნაწილში დაკრძალული იყო სამი ყმაწვილი ქალი, რომლებსაც შესანიშნავად ნახელავი ოქროსა და ვერცხლის სამკაულები აკობდათ. აქ აღმოჩენილი გრეხილკალიანი ვერცხლის დიადემა, რომელიც ნატიფი ორნამენტითაა მოტივფრული, ძალზე ემსგავსება ვანში ნაპოვნ ამ სახის სამკაულს. დიადემის ასევე ვანის პირამიდულბოლოებიანი საყურეების მსგავსი საკიდები ამშვენებს. ბაჯაღლო ოქროს ეს წყვილი საკიდი, რომელთა წონა 60 გრამს აღემატება, შესაფერის მეტოქეობას უწევს ქართული საიუველირო ხელოვნების შედევრებს. ასეთივე დაზვეწილი მხატვრული გემოვნებით არის შესრულებული ოქროს ყელსაბამი, რომელიც ოქროთი ნაქნდაკები 27 ვერძის თავისაგან შედგება. ძაფზე ასხმული ოქროს მრგვალი მძივი თანაბრად ყოფს მანძილს თავებს შორის და ქანდაკებები ჰარმონიულადაა განლაგებული. ეს შესანიშნავი სამკაული ანალოგიას პოულობს ვანის მეთერმეტე სამარხში აღმოჩენილ ყელსაბამთან, რომელიც ასევე ვერძისთავებიანი ქანდაკებებისაგან შედგება. თავსამკაულის მშვენებას წარმოადგენს ხუთი ოქროს საყურე. მათი ნახევარმთვარისებრი დაბოლოება შემკულია გავარსით, ხოლო ოვალურად დაგრძელებული რკალის ერთ მხარეზე, მცენარეული სახის ორნამენტთან ერთად, გამოყვანილია მზისებრი ვარდულები — ასევე დამახასიათებელი დეტალი ადრეანტიკური ხანის ქართული ოქრომშედლობისათვის. ასეთივე ვარდულითა და ორნამენტით არის გადაწყვეტილი ბიჟონუსურტანიანი წყვილი საყურე, გავარსისავე პირამიდული ბოლოებით. ვერცხლისა და ოქროს სამკაულებს გარდა მიცვალებულებს ჩატანებულ ი ჰქონდათ რკინისა და ბრინჯაოს ნივთები — გრეხილრკალიანი დიადემები, სამაჯურები და სხვა ერთ-ერთ ასულს ხელში ეკავა ბერძნული ლეკითოსი. გეომეტრიული ორნამენტებითა და სუროსფოთლებიანი ტოტით მოხატული ეს შესანიშნავი ჭურჭელი, რომელიც მხოლოდ დაკრძალვის რიტუალისთვის იყო განკუთვნილი, დამზადებულია ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის შუა ხანებში, საბერძნეთში, ათენის ოლქში, ატიკაში.

კამერის ამავე ნაწილში აღმოჩნდა ხუთი ცხენის ჩონჩხი. თითოეული მათგანი ასულებზე არანაკლებ იყო მორთულ-მოკაზმული. მიცვალებულთა და ცხოვრელთა მორთულობაში გარკვეული წესია დაცული — კამერის აღმოსავლეთ კედელთან დაკრძალული მიცვალებული მდიდრულადაა გაპატიოსნებული, ცხენიც ასევე მდიდრულად შეუკაზმავთ. შემდეგ სამკაულთა რაოდენობა თანდათან კლებულობს და დასავლეთ კედელთან დამარხულ პირველ ცხენთან უკვე არ გვხვდება ოქროს საშვინისები.

მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ცხენს აღმოჩნდათ ბაჯაღლო ოქროს ყანწისებრი ფორმის სამკაულები: არწივები, იხვები, ზარაკები, რომელთა საერთო წონა 200 გრამს აღემატება.

როგორც პირველს, დანარჩენ ცხენებსაც პირში ლაგამი ჰქონდათ გაჩრილი. შეიძლება ითქვას, რომ ზოგი მათგანი გამოყენებითი ხელოვნების შედევრს წარმოადგენს. სამარხშივე აღმოჩნდა ბაჯაღლო ოქროს ეს სასაფეთქლე საკიდები, რომელთა საერთო წონა 225 გრამს აღემატება, სამეფო სამკაულის შთაბეჭდილებას ტოვებს და ამიერიდან მტკიცედ დაიმკვიდრებს ადგილს უძველესი ქართული ოქრომჭედლობის შედევრთა შორის. ასევე ოქრომჭედლობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს აფრისებრი ფორმის ნივთი, რომლის დაბოლოება არწივის თავს მოგვაგონებს, ხოლო ზედაპირი მოტივფრულია გეომეტრიული ორნამენტით. ხის დანაზიერებულ ძელებშეკვეთ აღმოჩნდა აგრეთვე ოქროს ფირფიტა ნაშესანიშნავი ნახელავი ძვლის სავარცხელი.

მხვლებისა და ცხენების მორთულობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ძელებიან მოედანზე აღმოჩენილი სხვა ნივთებიც აშკარად მეუთითებს, რომ საქმე გვაქვს უძველესი ქალაქის არისტოკრატიის უმაღლესი წრის წარმომადგენლებთან.

საირხის არქეოლოგიური მონაპოვარი დიდი აღმოჩენების რიგს გახეკუთვნებება. უპირველეს ყოვლისა კი ის უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ პროვინციაში მიკვლეულია მეორე ისეთი დიდმნიშვნელოვანი კულტურის კერა, როგორიცაა ვანი კოლხეთის დაბლობზე. ასე რომ, მოიძებნა კიდევ ერთი ადრეანტიკური ეპოქის მაღალგანვითარებული ცენტრი, რომლითაც შეივსება საქართველოს ისტორიის უცნობი ფურცელი. უნდა ვიჩქმეტნოთ, რომ ანტიკურ-ელინისტური ხანის დასავლეთ საქართველოში უთუოდ არსებობდა არაერთი ასეთი პოლიტიკურ-ეკონომიური ცენტრი, რომელთაც აერთიანებდა კოლხეთის ჯერ კიდევ მიწაში მოგულმარე ლეგენდარული ქალაქი.

ამ ბრწყინვალე თვითმყოფადი კულტურის აღმოჩენის შედეგად ნათელი ხდება, თუ რატომ იჩენდნენ კოლხეთის მიმართ ასეთ დიდ ინტერესს ჰეროდოტე, არ